1972/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (373)

1972 წლის თებერვალი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 2 (373) თებერვალი 1972 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

26. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. ჩოფიკაშვილის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

27. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

28. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის ახალი შემადგენლობის შესახებ.

29. დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

30. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ.

31. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გორის რაიონში „მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის 5 მარტის დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

განყოფილება მეორე

32. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის“ დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

33. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

34. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. დარჩიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

35. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. დ. იმერლიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

36. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ბ. ე. ყურაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

37. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

38. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ვ. ბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

39. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. ი. ბეროძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

40. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ი. კობახიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

41. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ტ. პატარავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

42. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის № 1 სამკერვალო ფაბრიკის დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში
საინფორმაციო ცნობა
ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

26 ამხ. ვ. ა. ჩოფიკაშვილის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ვასილ ალექსანდრეს ძე **ჩოფიკაშვილი** საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან, სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 2 თებერვალი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

27 ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დანიშნოს ამხ. მამია ამბერკის ძე **მეგრელიშვილი** საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 15 თებერვალი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

28 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის ახალი შემადგენლობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე

ვიქტორია მოსეს ასული **სირაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

თამარ ვასილის ასული **ლაშქარაშვილი** — საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

კომისიის მდივანი

ნათელა ილიას ასული **ლალიძე** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

კომისიის წევრები:

ვახტანგ გაბრიელის ძე **ბოჭორიშვილი** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

გაბრიელ ნოეს ძე **გოშაძე** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

შოთა ალექსანდრეს ძე **დევდარიანი** — თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი.

ნათელა შალვას ასული **ვასაძე** — საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს მდივანი.

ოთარ ვასილის ძე **თაქთაქიშვილი** — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

მიხეილ ესტატეს ძე **თოფურიძე** — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი.

გიორგი არკადის ძე **საყვარელიძე** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიური მეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

გიორგი ვასილის ძე **სიხარულიძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

ედუარდ ამბროსის ძე **შევარდნაძე** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი.

მიხეილ თეოფანეს ძე **ჩიხლაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

თინათინ ვასილის ასული **წერეთელი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სექტორის გამგე.

გიორგი ნიკოლოზის ძე **ჯიბლაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 24 ივნისის დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის ახალი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ავაბაძე

ობილისი, 1972 წლის 25 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

29 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე

ვიქტორ სტეფანეს ძე **კვარაცხელია** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

ნათელა შალვას ასული **ვასაძე** — საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს მდივანი.

კომისიის მდივანი

ვლადიმერ ვასილის ძე **პაპიტაშვილი** — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის რეფერენტი იურიდიულ საკითხებში.

კომისიის წევრები:

დიმიტრი სარდიონის ძე **აბულაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

გუგული დომენტის ასული **ავალიანი** — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მე-6 სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი.

ია ბორისის ძე **გამრეკელი** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

აკაკი არჩილის ძე **დვალიშვილი** — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე.

უშანგი პლატონის ძე **ობოლაძე** — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე.

იური თეიმურაზის ძე **ურუშაძე** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

აპოლონ იაკობის ძე **ფალიაშვილი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუარსაბ სერგოს ძე ქავთარაძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე.

გიორგი გაბრიელის ძე ყურაშვილი — გადამდგარი გენერალ-მაიორი.

ივანე თეიმურაზის ძე ხაბულიანი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1972 წლის 25 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

30 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის წარმოების საფუძვლების 22-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 3 თებერვლის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს ცვლილებები საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლში და ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 44. დამცველის სავალდებულო მონაწილეობა სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში

წინასწარ გამოძიებასა და სასამართლო განხილვაში დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა შემდეგ საქმეებზე:

არასრულწლოვანთა საქმეებზე;

მუნჯი, ყრუ, უსინათლო და სხვა ისეთი პირების საქმეებზე, რომლებსაც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ ძალუძთ თვითონ განახორციელონ თავის დაცვის უფლება.

ამ შემთხვევებში დამცველი საქმეში მონაწილეობისათვის დაიშვება ბრალდების წაყენების მომენტიდან.

დამცველის მონაწილეობა იმ პირთა საქმეებზე, რომლებიც არ ფლობენ ენას, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო წარმოება, აგრეთვე იმ პირთა საქმეებზე, რომლებსაც ბრალად ედებათ ისეთი დანაშაულის ჩადენა, რისთვისაც სასჯელის ზომად შეიძლება დაინიშნოს სიკვდილით დასჯა, სავალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულია იმ მომენტიდან, როცა ბრალდებულს აუწყებენ წინასწარი გამოძიების დამთავრების შესახებ და გასაცნობად წარუდგენენ საქმის მთელ წარმოებას“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაძე.

თბილისი, 1972 წლის 25 თებერვალი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

31 გორის რაიონში „მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის 5 მარტის დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, განიხილა რა „მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის 5 მარტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა გორის რაიონში, აღნიშნავს, რომ რაიონულმა და სასოფლო საბჭოებმა, ფართო აქტივის მონაწილეობით, დასახეს და განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი ამ დადგენილების შესასრულებლად.

რაიონული საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი, ხელმძღვანელობენ რა პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით და ზემოაღნიშნული დადგენილებით, სისტემატურად სწავლობენ და იხილავენ სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა, სკოლების, საავადმყოფოების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებისა და სხვა წარმოება-დაწესებულებათა მუშაობის საკითხებს. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ საბჭოები, რომელთა ნაყოფიერმა მუშაობამ განაპირობა გასული სამეურნეო წლის კარგი მაჩვენებლებით დამთავრება. გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფო შესყიდვის გეგმები: მარცვლეულისა — 145 პროცენტით, ბოსტნეულისა — 111,6 პროცენტით, ყურძნისა — 100,7 პროცენტით, ხორცისა — 161,8 პროცენტით, რძისა — 134,5 პროცენტით, კვერცხისა — 193,7 პროცენტით.

წარმატებით შესრულდა აგრეთვე მეცხოველეობის სულადობის გეგმები. რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სათანადო ყურადღება ექცევა შრომის დისციპლინისა და მიწათსარგებლობის წესების დაცვას. შემცირდა იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომელთაც არ ჰქონდათ გამომუშავებული კაცდღეების სავალდებულო მინიმუმი. კოლმეურნეობებსა და- საბჭოთა მეურნეობებში ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების თვითღირებულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოები სისტემატურად ზრუნავენ საწარმოო დანიშნულების ნაგებობათა, სკოლების, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, გზებისა და ბოგირების შეკეთების, მწვანე ზოლების გაშენებისათვის. სოფლებში სკრაში, ხიდისთავში, ზეიდულეთში, კარალეთში აიგო მეცხოველეობის სადგომები, ქიწნისში, კარალეთსა და სკრაში აშენდა 32 და 12 ბინიანი საცხოვრებელი სახლები. სოფელ მერეთში საეკსპლოატაციოდ გადაეცა საშუალო სკოლის შენობა, სოფელ ფხვენისში — საშუალო სკოლისა და ბაგა-ბაღის შენობები; საკლასო ოთახები მიუშენდა სოფელ სვენეთის და ზერტის სკოლებს, აბანოები აიგო სოფლებში მინდისში, მარანსა და ხელთუბანში, სოფლის მაღაზიები — სვენეთში, ბერშუეთში და სხვ.

165,6 პროცენტით შესრულდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა და შეკეთების გეგმები.

რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომები პრაქტიკულ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში.

სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადება-განხილვაში აქტიურად მონაწილეობენ საბჭოების დეპუტატები, სოფლის მეურნეობის, განათლების, კულტურის, მშენებლობის და სხვა მუდმივი კომისიები. აღმასკომების სხდომებისა და სესიებისათვის საკითხების მომზადება-განხილვაში მონაწილეობა მიიღო რაიონული და სასოფლო საბჭოების 483 დეპუტატმა, ხოლო 623 საკითხის მომზადება-განხილვაში — 76 მუდმივმა კომისიამ.

საბჭოების აღმასკომები პერიოდულად გამოდიან ანგარიშებით მოსახლეობის წინაშე, აცნობენ საბჭოებისა და აღმასკომების მიერ მიღებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. გაუმჯობესდა მათი კავშირი მოსახლეობასთან. რაიონულმა და ყველა სასოფლო საბჭოს აღმასკომმა გასულ წელს ანგარიში ჩააბარა საბჭოების სესიებს, ხოლო ყველა დეპუტატმა — ამომრჩევლებს.

საბჭოების, დეპუტატების, მუდმივი კომისიების მიერ მოსახლეობის დარაზმვამ განაპირობა ის, რომ რაიონში მნიშვნელოვნად შემცირდა სისხლის სამართლის დანაშაულობანი, საზოგადოებრივი წესრიგის სხვა დარღვევები, ხოლო ზოგიერთ სასოფლო საბჭოში 1971 წლის განმავლობაში არც ერთი დანაშაული არ მომხდარა.

საბჭოების აღმასკომები პერიოდულად იწვევენ სოფლის მოსახლეობის საერთო კრებებს (ყრილობებს), სადაც იხილავენ სოფლების კეთილმოწყობის, სანიტარული მდგომარეობის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სხვა საკითხებს.

ამასთან, გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს მუშაობაში ჯერ კიდევ გააჩნიათ ნაკლოვანებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნული დადგენილების შესაბამისად რაიონული საბჭოს აღმასკომს არ შეუმუშავებია კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა ადგილობრივი მრეწველობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურულ-საგანმანათლებლო, ვაჭრობისა და სხვა ობიექტების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონულმა საბჭომ და მისმა აღმასკომმა 1971 წელს ვერ უზრუნველყვეს რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმის შესრულება. რაიონში არ შესრულდა ბოსტნეულის, ხილისა და ყურძნის წარმოების გეგმები.

არის შემთხვევები, როცა სოფლის სავაჭრო ობიექტებს გასაყიდად არ აქვთ ძირველი მოთხოვნილების საგნები. ადგილი აქვს ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტებს, რისთვისაც გასულ წელს სასჯელი დაედო 14 მუშაკს. ჯერ კიდევ არის დანაშაულის ჩადენის შემთხვევები. 1971 წელს რეგისტრირებულია 69 სისხლის სამართლის დანაშაული. ნაკლოვანებებია ზოგიერთი მუდმივი კომისიის მუშაობაში (რაიონული საბჭოს განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ახალგაზრდობის საქმეთა კომისიები და ახალუბნის, ნიქოზის, მღებრიანის, მერეთის სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიები). ხარვეზებია სასოფლო გზების კეთილმოწყობის, სასმელი წყლით უზრუნველყოფის და სანიტარული წესების დაცვის საქმეში.

1971 წელს გორის რაიონული საბჭოს აღმასკომის არც ერთ განყოფილებას ანგარიში არ ჩაუბარებია მოსახლეობისათვის.

დეპუტატების გარკვეული ნაწილი აქტიურად არ მონაწილეობს სესიებისა და აღმასკომებისათვის საკითხების მომზადება-განხილვაში.

რაიონული საბჭოს აღმასკომი ჯერ კიდევ საჭირო ხელმძღვანელობას ვერ უწევს სასოფლო საბჭოებს პრაქტიკულ საქმიანობაში. შავშვების სასოფლო საბჭოს აღმასკომმა სათანდაოდ ვერ დარაზმა საბჭოს დეპუტატები, აქტივი და მოსახლეობა საბჭოთა მეურნეობის წინაშე მდგარი საწარმოო გეგმების შესასრულებლად, რის გამო მეურნეობამ ვერ შეასრულა 1971 წლის ყურძნის, ბოსტნეულის და ხილის წარმოების გეგმები.

ვერ შეასრულეს მოსახლეობის კინომომსახურების გეგმები ბერბუკის, ნიქოზის, შინდისის, ზეღდულეთის სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა.

ნაკლოვანებებია ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომის (ძევერი, ტყვიავი, კარალეთი) გადაწყვეტილებათა დროულად ადგილზე დაგზავნის და შესრულების შემოწმების საქმეში.

შავშვების, ტყვიავის, ტირძნისის, მეჯვრისხევის, ბოშურას, ზემო ახალსოფლის და ხიდისთავის სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებულ ზოგიერთ ორგანიზაციებში ადგილი ჰქონდა საფინანსო დისციპლინის უხეშ დარღვევებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაეკალოს გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს თავის საქმიანობაში მტკიცედ იხელმძღვანელოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის 5 მარტის დადგენილებით და მიიღოს ზომები რაიონის ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გასაუმჯობესებლად, რისთვისაც:

ა) პერიოდულად შეისწავლოს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამშენებლო, სამრეწველო და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობა და განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ. გააძლიეროს კონტროლი, დახმარება და მოთხოვნა მშენებელი ორგანიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციებისადმი მშენებლობის გეგმების შესრულების და სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესების საქმეში;

ბ) მიაღწიოს სოფლის მეურნეობასა და ადგილობრივ მრეწველობაში საწარმოების გაფართოებასა და რეზერვების სრულყოფილად გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების კიდევ უფრო ამაღლებას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და საკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების მტკიცედ დაცვას;

გ) კვლავაც განავითაროს დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების აქტიურობა, ხელი შეუწყოს ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადების შესრულებას; მიაღწიოს იმას, რომ მუდმივი კომისიები მეტ მომთხოვნელობას იჩენდნენ საბჭოებისა და მისი აღმასკომების გადაწყვეტილებათა შესრულების, საბჭოთა კანონმდებლობის დაცვისათვის, ავლენდნენ სამეურნეო და კულტურული საქმიანობის ნაკლოვანებებს და ატარებდნენ ღონისძიებებს მათ სალიკვიდაციოდ;

დ) შეიმუშაოს ადგილობრივი მრეწველობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, საწარმოების, სკოლების, საავადმყოფოების, სბაავშვო დაწესებულებების, კლუბების, მაღაზიების, სასადილოების, სარემონტო-სამშენებლო და სხვა ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების კომპლექსური გეგმა და განახორციელოს ღონისძიებანი მათ შესასრულებლად;

ე) უზრუნველყოს საჯაროობა საბჭოების, აღმასკომების, მათი განყოფილებებისა და სამმართველოების და საბჭოებისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების საქმიანობაში. ადგილობრივი გაზეთისა და რადიოს საშუალებით ფართო ინფორმაცია მიაწოდოს მოსახლეობას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებზე;

ვ) სრულყოს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაცია, განამტკიცოს სახელმწიფო დისციპლინა, აამაღლოს საბჭოთა ორგანოების ყველა მუშაკის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი;

ზ) გადაჭრით იბრძოლოს საბჭოთა კანონიერების დარღვევების, უყაირათობის წინააღმდეგ. მეტი ყურადღება დაუთმოს სოციალისტური საკუთრების, შრომის კანონმდებლობის და საკოლმეურნეო წესდების დაცვას, იურიდიული ცოდნის პროპაგანდას.

2. დაევალოს საქართველოს სსრ საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განიხილონ და დასახონ ღონისძიებანი „მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის 5 მარტის დადგენილების და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების შესახებ კანონების განსახორციელებლად, ამ საქმეში ფართოდ ჩაებან საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 25 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

32 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის“ დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“:

1. ომარ ალექსის ძე **გელაშვილი** — თბილისის ორჯონიკიძის რაიაღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილებასთან არსებული არასაუწყებო დაცვის განყოფილების მეოთხე ბრიგადის ბრიგადირი.

2. ზურაბ ალექსანდრეს ძე **პაპიაშვილი** — თბილისის ორჯონიკიძის რაიაღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილებასთან არსებული არასაუწყებო დაცვის განყოფილების პირველი თანრიგის მილიციელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი, 1972 წლის 25 თებერვალი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

33 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში მიღწეული წარმატებებისათვის და ქალაქ თბილისის სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის

1. ვლადიმერ ზურაბის ძე **აბულაშვილს** — № 6 პურის ქარხნის ცომის მზელავს.

2. სერგი ალექსის ძე **ამანათაშვილს** — საინსტრუმენტო ქარხნის ხარატს.

3. გრიგოლ გარეგინის ძე **არუთინოვს** — ტრესტ „სქაჰიდროენერგომშენის“ დამხმარე საწარმოთა კომბინატის ხარატს.

4. ივანე სიმონის ძე **აფციაურს** — ავეჯის კომბინატ „განთიადის“ მხერხავს.

5. ბორო დიმიტრის ძე **ახვლედიანს** — ლენინის სახელობის მინის ქარხნის გამმართველს.

6. ოლღა გიორგის ასულ **ბერიძეს** — № 7 სამკერვალო ფაბრიკის მკერავს.

7. იაკობ პეტრეს ძე **ბუხრიკიძეს** — კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ზეინკალ-ამწყობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ქსენია კონსტანტინეს ასულ **გაგლოევას** — ჩაის საწონი ფაბრიკის მეჯრეს.

9. ალექსანდრა ალექსანდრეს ასულ **გეგუჩაძეს** — № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავს.

10. ვასილ ილიას ძე **გელაშვილს** — მუსიკალურ-კლავიშებიანი ინსტრუმენტების ფაბრიკის დურგალს.

11. ირაკლი დმიტრის ძე **გელაშვილს** — თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ზეინკალს.

12. მარიამ ილიას ასულ **გელაძეს** — საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ ხრახნის მჭრელს.

13. მარიამ სარდიონის ასულ **გობეჯიშვილს** — № 6 სამკერვალო ფაბრიკის მკერავს.

14. ნიკოლოზ ვასილის ძე **გრიბანოვს** — კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მღარავს.

15. შალვა ესტატეს ძე **გუნაშვილს** — ქარხანა „თბილელექტროიზოლიტის“ ზეინკალს.

16. შოთა სიმონის ძე **დევსურაშვილს** — ლენინის სახელობის თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის ზეინკალ-ამწყობს.

17. ვასილ ნიკოლოზის ძე **დვალს** — დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ამწყობს.

18. ნიკოლოზ გრიგოლის ძე **ვორონოვს** — ქარხანა „მიკროძრავის“ ზეინკალ-მეინსტრუმენტეს.

19. გალინა აპოლონის ასულ **თევზაძეს** — თბილისის რძის კომბინატის მუშას.

20. ალექსი ზაქარიას ძე **თოდაძეს** — სახერხი ჩარხების ქარხნის ზეინკალ-ამწყობს.

21. ვახტანგ ტარასის ძე **თურმანიძეს** — ტყავის საწარმოო გაერთიანების ტყავის გამზომს.

22. მარია მაკარის ასულ **კირიუხინას** — პატონის სახელობის ქარხანა „ელექტროშემდუღების“ ელექტროშემდუღებელს.

23. ანა მალაქიას ასულ **კობერიძეს** — თბილისის ტყავგალანტერიის ფაბრიკის მუშას.

24. იური ვლადიმერის ძე **კოვალენკოს** — 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის მღარავს.

25. ანდრია გიორგის ძე **კონოტოპოვს** — დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მხეხავს.

26. ილია ალექსის ძე **ლომიძეს** — სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ელექტროზეინკალს.

27. ნელი ივანეს ასულ **ლურსმანაშვილს** — სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მრთველს.

28. გივი ვლადიმერის ძე **მარდალეიშვილს** — ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის ხარატს.

29. ილია დავითის ძე **მაღრაძეს** — სავაგონო დეპოს ელექტროზეინკალს.

30. ივანე მიხეილის ძე **მაჩნევს** — ქარახანა „თბილხელსაწყოს“ ზეინკალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

31. ბორის გიორგის ძე **მახარაშვილს** — ლითონკონსტრუქციათა ქარხნის ზეინკალს.

32. გრიგოლ ივანეს ძე **მელაძეს** — თბილისის № 2 ავტოსარემონტო ქარხნის ზეინკალს.

33. გიორგი გიგოს ძე **მინდიაშვილს** — კერამიკული კომბინატის გამომწვავს.

34. რევაზ კულას ძე **მოსიაშვილს** — სტალინის სახელობის თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის გადამკვრელს.

35. ეთერ ზაქარიას ასულ **მოძღვრიშვილს** — № 2 თამბაქოს ქარხნის მემანქანეს.

36. დიმიტრი სოლომონის ძე **მურჯიკნელს** — თბილისის აბრეშუმსაწარმოო გაერთიანების ქვეოსტატს.

37. ბენიამინ ბაგრატის ძე **ნადარეიშვილს** — ქარხანა „ელექტროძრავის“ ხარატს.

38. სოფიო ალექსანდრეს ასულ **ნარიმანიძეს** — № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავს.

39. ნინო სტეფანეს ასულ **ოსაძეს** — ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანის“ მუშას.

40. ივანე თევდორეს ძე **პანოვს** — კონიაკის ქარხნის მეკასრეს.

41. შალვა მიხეილის ძე **რაზმაძეს** — აბრეშუმსაწარმოო გაერთიანების ქვეოსტატს.

42. რუდოლფ მიხეილის ძე **სარქისოვს** — კალინინის სახელობის სასხმელი მოწყობილობის ქარხნის ზეინკალ-ამწყობთა ბრიგადის ბრიგადირს.

43. გრიგოლ კარპის ძე **სახელაშვილს** — ქარხანა „თბილსოფლმანქანის“ ხარატს.

44. კონსტანტინე ივანეს ძე **სვანიშვილს** — სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის მღარავს.

45. ვარდო გიორგის ძე **სიმონიშვილს** — ქარხანა „მიკროძრავის“ ჩამომსხმელს.

46. რუიზანა ალექსის ასულ **სოკურაშვილს** — ორჯონიკიძის სახელობის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავს.

47. ელისაბედ რომანის ასულ **სრესელს** — აბრეშუმსაწარმოო გაერთიანების ძაფის გამწყვეტს.

48. პარმენ ივანეს ძე **სუხიტაშვილს** — სტალინის სახელობის თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ელექტროზეინკალს.

49. ვახტანგ დიმიტრის ძე **ტეტუნაშვილს** — ქარხანა „თბილგაზაპარატის“ ხარატს.

50. ზალიკო გაბრიელის ძე **ქუმარიტოვს** — ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის მეაპარატეს.

51. ევგენი ექვთიმეს ძე **შუბითიძეს** — სამშენებლო მასალების ქარხნის მეხეავს.

52. გურამ შალვას ძე **ჩადუნელს** — ლენინის სახელობის თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის ზეინკალ-ამწყობს.

53. თამაზ იაგორის ძე **ციციშვილს** — დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ზეინკალ-ამწყობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

54. სპირიდონ გიორგის ძე **ციციშვილს** — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ასოთამწყობს.

55. ილია სამსონის ძე **ცხოვრებოვს** — სტალინის სახელობის თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ელექტროშემდუღებელს.

56. ბაბულია საბოს ასულ **ძებისაშვილს** — № 7 სამკერვალო ფაბრიკის მკერავს.

57. ლუკა იაკობის ძე **წიკლაურს** — ქარხანა „ცენტროლიტის“ მეყალიბეს.

58. ავთანდილ იოსების ძე **ხარიტონაშვილს** — კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატს.

59. შალვა ალექსანდრეს ძე **ხიზანიშვილს** — სალოკომოტივო დეპოს უფროს ოსტატს.

60. ვალერიან ნიკოლოზის ძე **ხუციშვილს** — საკონდიტრო ფაბრიკა „მზიურის“ მუშას.

61. მიხეილ ისრაფილის ძე **ჰუსეინოვს** — პატონის სახელობის ქარხანა „ელექტროშედუღების“ ზეინკალ-ამწყობს.

საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის:

1. ნოდარ მიხეილის ძე **ამბოკაძეს** — ტრესტ „მშენინდუსტრიის“ № 1 რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის ზეინკალ-მეარმატურეს.

2. ედუარდ მიხეილის ძე **ბაჩაკაშვილს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს კალატოზს.

3. გიორგი ილიას ძე **ბერიკაშვილს** — ტრესტ № 10 „მაღლივმშენის“ № 7 სამშენებლო სამმართველოს ხუროს.

4. გივი ბორისის ძე **ბერძენიშვილს** — № 10 ტრესტ „მაღლივმშენის“ № 7 სამშენებლო სამმართველოს ხუროს.

5. გიორგი რევაზის ძე **ბუჯიაშვილს** — „საქჰიდროენერგომშენის“ სამმართველო „სამოქალაქო ბინმშენის“ გვირაბგამყვანს.

6. ალექსანდრე ივანეს ძე **გალაშინს** — „ინჟმშენის“ № 3 სამშენებლო სამონტაჟო სამმართველოს გაზშემდუღებელს.

7. ვლადიმერ ალექსანდრეს ძე **გამხიტაშვილს** — „საქჰიდროენერგომშენის“ სამმართველო „სამოქალაქო ბინმშენის“ სამმართველოს კალატოზს.

8. არჩილ ზაქარიას ძე **გელიაშვილს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 15 ტრესტის № 6 სამშენებლო სამმართველოს ხუროს.

9. ნოდარ ქსენოფონტის ძე **გველესიანს** — „თბილგვირაბმშენის“ გვირაბგამყვანს.

10. ივანე ვასილის ძე **გლადკიხს** — „მთავარობილმშენის“ № 10 სამშენებლო სამმართველოს მღებავთა ბრიგადირს.

11. შალვა ალექსანდრეს ძე **გოდინაშვილს** — „ინჟმშენის“ № 1 საგზაო სამშენებლო სამმართველოს ზეინკალ-შემკეთებელს.

12. შოთა თეოდორეს ძე **გულიშვილს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის № 6 სამშენებლო სამმართველოს მემონტაჟეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. ილია ვასილის ძე **ერქვანიძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის № 6 სამშენებლო სამმართველოს ხუროს.

14. არამ სტეფანეს ძე **ვართანიანს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის № 5 სამშენებლო სამმართველოს მებათქაშეს.

15. ოთარ შალვას ძე **თეთრუაშვილს** — ტრესტ სამშენებლო ინდუსტრიის № 1 რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის მეარმატურეს.

16. ამირან იოსების ძე **კაკალაშვილს** — № 3 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მომპირკეთებელს.

17. ხოდარ გიორგის ძე **კოპაძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის № 10 სამშენებლო-სამმართველოს მებათქაშეს.

18. გურამ სიმონის ძე **მაკაშვილს** — „მაღლიევშენის“ № 10 ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს კალატოზს.

19. ტიმოთე ვასილის ძე **მალახოვს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის № 8 სამშენებლო სამმართველოს მხურავს.

20. გივი სიმონის ძე **მოხევიშვილს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 15 ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველოს ხუროთა ბრიგადის ბრიგადირს.

21. გიორგი აბრამის ძე **მჭედლიშვილს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველოს ხუროს.

22. თენგიზ ლევანის ძე **ნადირაძეს** — „ინჟმშენის“ № 2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ელექტროშემდუღებელს.

23. რევაზ ივანეს ძე **ნავროზაშვილს** — № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს.

24. ამბროსი ვასილის ძე **რამიშვილს** — „საქსანტექმონტაჟის“ სამშენებლო-სამონტაჟო უბნის ბრიგადირს.

25. ვიქტორ ტარასის ძე **რიბაკოვს** — მსხვილპანელიანი სახლთმშენებლობის ქარხნის ზენკალს.

26. ვახტანგ გიორგის ძე **სოლაშვილს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის მეათე სამშენებლო სამმართველოს მებათქაშეს.

27. გიორგი დიმიტრის ძე **ქავთარაძეს** — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ № 131 სამშენებლო სამმართველოს კალატოზს.

28. გიორგი ვლადიმერის ძე **ჩიკაშუას** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის პირველი სამშენებლო სამმართველოს მებეტონეს.

29. იაკობ ზინოს ძე **ძებისოვს** — „ინჟმშენის“ № 2 საგზაო სამშენებლო სამმართველოს მეასფალტეს.

30. შარვაშ ასატურის ძე **ხაჩატურიანს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის მეორე სამშენებლო სამმართველოს მეარმატურეს.

31. ივანე იაკობის ძე **ჯიქაშვილს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატის მებეტონეს.

32. ვლადიმერ დავითის ძე **ჯიქიძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის პირველი სამშენებლო სამმართველოს ელექტროშემდუღებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

33. ბენიამინ მოსეს ძე **ჯმუხაძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სა-მინისტროს № 14 ტრესტის მერვე სამშენებლო სამმართველოს მემონტაჟეს.

საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის:

1. ოლღა ნიკოლოზის ასულ **ნიკოლსკაიას** — ტრამვაი-ტროლეიბუსების სა-მმართველოს კონდუქტორს.

2. ვასილ ელიზბარის ძე **ოქრუაშვილს** — № 9 ავტოსატრანსპორტო საწარ-მოს მძღოლს.

3. ივანე ალექსის ძე **პოდგორელოვს** — № 5 ავტოსატრანსპორტო საწა-რმოს ავტოზეინკალს.

4. თენგიზ ვასილის ძე **უზნაძეს** — თბილისის სალოკომოტივო დეპოს მე-მანქანეს.

5. გიორგი ზაქარიას ძე **ქსოვრელს** — თბილისის სალოკომოტივო დეპოს მატარებლების შემდგენელს.

6. ვახტანგ ალექსანდრეს ძე **ყიფშიძეს** — თბილმეტროპოლიტენის მემა-ნქანეს.

7. პლატონ ალექსის ძე **ცაცანაშვილს** — თბილისის სალოკომოტივო დე-პოს ზეინკალს.

საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის:

1. გურამ ნიკოლოზის ძე **ბერიშვილს** — თბილისის № 1 სასადილოების ტრესტის სასადილო „მზიურის“ წარმოების გამგეს.

2. თამარ ივანეს ასულ **დონჯაშვილს** — თბილმრეწვავაჭრობის № 1 მაღა-ზიის გამყიდველს.

3. ნათელა რომანის ასულ **კოზანაშვილს** — თბილისის რესტორნებისა და კაფეების ტრესტის საჩაიე „ნარგიზის“ შეფ-მზარეულს.

4. ელენე ვასილის ასულ **მილაშვილს** — „საქწიგნის“ № 1 მაღაზიის სექ-ციის გამგეს.

5. ბიჭიკო სტეფანეს ძე **ქართველიშვილს** — თბილისის საფეიქრო ვაჭრო-ბის № 7 მაღაზიის სექციის გამგეს.

საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების დამსახურებული მუშაკის:

1. ნინო სილოვანის ასულ **აღლაძეს** — თბილისის მრავალდარგოვან სა-წარმოთა გაერთიანების მკერავს.

2. დოდო კონსტანტინეს ასულ **დვალაძეს** — ტანსაცმლის ინდივიდუალუ-რი კერვის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ავალიანი.

თბილისი, 1972 წლის 25 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

34 ამხ. ვ. ი. დარჩიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვალერიან იოსების ძე **დარჩიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1972 წლის 4 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

35 ამხ. ი. დ. იმერლიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, თბილისის ქარხანა „ცენტროლიტის“ დირექტორი ამხ. ილია დავითის ძე **იმერლიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

11890

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

ობილისი, 1972 წლის 4 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

36 პროფესორი ბ. ე. ყურაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ბორის ეპიფანეს ძე **ყურაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1972 წლის 4 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

37 საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისა და გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობის ჩატარებისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები:

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის
თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის
ქუთაისის ლითოფონის ქარხნის
ცხინვალის ქარხანა „ვიბრომაშინის“
ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის
მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის
გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის
აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის კოხორის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის
ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის
სიღნაღის რაიონის ტიბაანის კოლმეურნეობის
გურჯაანის რაიონის ჭანდრის კოლმეურნეობის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 18 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

38 ამხ. ა. ვ. ბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ქარელის რაიონის სოფელ დვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ანდრო ვასილის ძე **ბერიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 18 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

39 ამხ. ო. ი. ბეროძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო საგეგმო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი ამხ. ოთარ ივანეს ძე **ბეროძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 18 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

40 ამხ. ნ. ი. კობახიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, აფხაზეთის ასსრ სამომხმარებლო საზოგადოებების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ნიკოლოზ ივანეს ძე **კობახია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 18 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

41 ამხ. დ. ტ. პატარავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ამხ. დიმიტრი ტროფიმეს ძე **პატარავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 18 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

42 თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის № 1 სამკერვალო ფაბრიკის დაჯილდოების შესახებ

მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიღწევისათვის და სახელმწიფო გეგმიურ დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, დაარსების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის **№ 1 სამკერვალო ფაბრიკა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1972 წლის 25 თებერვალი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივმა კომისიამ მოისმინა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. ბუჩაიძის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს რესპუბლიკაში მზადება საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასასვლელად.

სხდომაზე აღინიშნა, რომ განხორციელდა საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლისათვის მზადების მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. 1970-1971 სასწავლო წელს რვაწლიანი განათლება მიიღო 90 ათასამდე ბავშვმა. მნიშვნელოვნად გახმატკიცდა სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზა. უკანასკნელი 4—5 წლის მანძილზე საეკსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სასკოლო შენობები 150 ათასი ბავშვისათვის.

რესპუბლიკის ბევრ რაიონსა და ქალაქში სკოლისათვის ზრუნვა საყოველთაო სახალხო საქმე გახდა. აჭარის ასს რესპუბლიკაში, თბილისში, ქუთაისში, ჭიათურაში, რუსთავში, მახარაძის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, ლანჩხუთისა და სხვა რაიონებში კოლმეურნეობებმა და სამრეწველო საწარმოებმა სკოლების ქსელს ათობით კეთილმოწყობილი შენობა შემატეს.

მაგრამ, ამასთანავე, როგორც სხდომაზე აღინიშნა, საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლისათვის მზადებაში არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი. ძთლიანად არ შესრულებულა მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა (98,2 პროცენტი).

დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არ არის ამ მხრივ ყაზბეგის, ასპინძის, ბოგდანოვკის, ამბროლაურისა და ონის რაიონებში.

არის მოსწავლეთა განთესვის შემთხვევები (ბოლნისის, ახალქალაქის, ცხაკაიას, თეთრი წყაროსა და სხვა რაიონები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ სუსტია ზოგიერთი სკოლის მატერიალური ბაზა. ზოგიერთი
ნი უზრუნველყოფილი არ არის ავეჯით, საჭირო ინვენტარით.

ბავშვები, რომლებიც შორს ცხოვრობენ, ყველგან როდი დაჰყავთ სკოლა-
ში და შინ მანქანებით, არ ხდება საყოველთაო საგალდებულო სწავლების
ფონდების სრულად ათვისება.

რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ დაბალია სწავლების ხარ-
სხი და მოსწავლეთა აკადემიური წარმატება.

დამაკმაყოფილებლად არ სრულდება დადგენილება სოფლის მასწავლე-
ბელთა უფასო კომუნალური მომსახურების შესახებ (ბინა, განათება, გათბობა).
ნელი ტემპით შენდება საცხოვრებელი სახლები სოფლის სკოლების მასწა-
ვლებლებისათვის.

ბევრ სკოლა-ინტერნატში შექმნილი არ არის ბავშვების ცხოვრებისა და
სწავლის ხელშემწყობი პირობები.

კომისიამ მოისმინა აგრეთვე დეპუტატ ე. სურგულაძის მოხსენება სამტრე-
დიისა და ცხინვალის სპეციალური სკოლების მუშაობის შესახებ. როგორც
აღინიშნა, ამ სკოლებში ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ სასწავლო-აღმ-
ზრდელობითი მუშაობა იქნეს მაღლ დონეზე და კიდევ უფრო განმტკიცდეს
მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ამასთანავე კომისიის სხდომაზე აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი
სამტრედიისა და ცხინვალის სპეცსკოელების მუშაობაში.

საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრებ-
მა დეპუტატებმა ა. ბლრციანმა, მ. დავითაშვილმა, საქართველოს სსრ მინის-
ტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავ-
მჯდომარის მოადგილემ კ. მიქიაშვილმა, რესპუბლიკის განათლების მინისტრის
მოადგილემ მ. ქოჩაკიძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეცი-
ალური განათლების მინისტრის მოადგილემ გ. დოლიძემ, ცხინვალის სპეცია-
ლური პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორმა მ. გოგუაძემ და სხვებმა.

განხილულ საკითხებზე კომისიამ მიიღო დადგენილებანი.

*

* *

ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნ-
ველყოფის მუდმივმა კომისიამ მოისმინა რესპუბლიკის სოციალური უზრუნ-
ველყოფის მინისტრის მ. თოფურიძის მოხსენება საექმო-შრომითი საექსპერ-
ტო კომისიების მუშაობის შესახებ.

როგორც კომისიის სხდომაზე აღინიშნა, განხორციელებულ ღონისძიებათა
შედეგად რესპუბლიკის საექსპერტო კომისიებმა გაუმჯობესეს საქმიანობა.

რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საექმო-
შრომითი ექსპერტიზისა და პროფთეზირების სტაციონარში შექმნილია სათანა-
დო პირობები ავადმყოფთა და ინვალიდთა ჯანმრთელობის მდგომარეობის კო-
ჰპლექსური გამოკვლევისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთანავე კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების საქმიანობაში არის ნაკლოვანებანი.

რესპუბლიკური საქალაქო და რაიონული საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების ექიმთათვის რეგულარულად არ ეწყობა სამეცნიერო-თეორიული კონფერენციები.

მთელ რიგ რაიონულ და სპეციალიზებულ საექიმო-შრომით საექსპერტო კომისიებთან შექმნილი არაა საზოგადოებრივი საბჭოები, ხოლო ზოგიერთ რაიონულ კომისიასთან ასეთი საბჭოები ფორმალურად არსებობენ.

ზოგიერთი საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისია (მაიაკოვსკი, ვანი, ძცხეთა, ფოთი, დმანისი, ადიგენი, კასპი, ლაგოდეხი, ჩხოროწყუ, გორი, ზუგდიდი და სხვა) საექსპერტო გადაწყვეტილების მიღების დროს უშვებს იურიდიული და კლინიკურ-დიაგნოსტიკური ხასიათის შეცდომებს.

ინვალიდობის ჯგუფების უვადოდ დადგენის, ინვალიდების გადამოწმებისა და აგრეთვე მათი სამედიცინო საქმეების რესპუბლიკურ საექიმო-შრომით საექსპერტო კომისიაში გადაგზავნისას ზოგჯერ ირღვევა გათვალისწინებული ნორმატივები.

საექსპერტო კომისიები ყოველთვის არ სწავლობენ ამა თუ იმ პროფესიისათვის დამახასიათებელ შრომის პირობებს, ინვალიდების შრომითი მოწყობის შესაძლებლობებს და ვაკანტურ თანამდებობათა სპეციფიკას.

ზოგიერთი რაიონული და სპეციალიზებული კომისიის სხდომებში არ მონაწილეობენ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებისა და პროფკავშირების წარმომადგენლები.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები და საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიები იშვიათად სწავლობენ და განიხილავენ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მუშაობის საკითხებს.

კომისიამ მოისმინა აგრეთვე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის ბინისტრის ვ. ბოჭორიშვილის ინფორმაცია რესპუბლიკაში ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიური დახმარების მდგომარეობის შესახებ.

გაწეული მუშაობის მეოხებით მნიშვნელოვნად შემცირდა ტრავმატიზმის შემთხვევები. გაუმჯობესდა ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და ამ დარგის სხვა სამკურნალო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები გ. ვაშაძე, ვ. კავთიაშვილი, მ. ჩერქეზიშვილი, ა. დათაშვილი, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საექიმო-შრომითი ექსპერტიზისა და პროფესიონალიზაციის განყოფილების უფროსი გ. ჟორჟოლაძე, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ხელმძღვანელი ო. აბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხილულ საკითხთა გამო კომისიამ მიიღო დადგენილებანი.

მუდმივი კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ბ. გელბახიანმა.

*

* *

ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივმა კომისიამ მოისმინა თავმჯდომარის, დეპუტატ ო. ჩერქეზიას მოხსენება სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის შესახებ. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სათანადო პირობებია შექმნილი სტუდენტთა მეცადინეობისა და კულტურული დასვენებისათვის. საერთო საცხოვრებლები ძირითადად უზრუნველყოფილია ინვენტარით, გათბობა-განათებით, სასადილოებით.

სტუდენტთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საჭირო ღონისძიებებს ახორციელებენ შესაბამისი სამინისტროები, უმაღლეს სასწავლებელთა რექტორატები და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები.

ამასთან ერთად მუდმივი კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო, მომსახურების საქმეში არის ნაკლოვანებანი.

სტუდენტთა ზოგიერთი საერთო საცხოვრებელი ვერ აკმაყოფილებს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების მოთხოვნებს. არ არის საშხაპეები, დასასვენებელი ოთახები, გამოყოფილი არ არის პირადი ნივთების შესანახი სათავსები. ზოგან აკლია მაგარი და რბილი ინვენტარი, ყველა სართულზე არ არის მოწყობილი სამზარეულო ოთახი.

ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სასადილო სტუდენტების გარდა ქალაქის მოსახლეობასაც ემსახურება.

საერთო საცხოვრებლების ბიბლიოთეკებში იშვიათად ეწყობა კონფერენციები, მკითხველთა შეხვედრები კულტურისა და მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეებთან, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან, სამაძულო ომის ვეტერანებთან, ძველ ბოლშევიკებთან.

ქუთაისის და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტების საერთო საცხოვრებლებთან არ არის ბიბლიოთეკები.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები: ი. გამრეკელი, ნ. ვასაძე, გ. ყიფიანი, შ. ყარყარაშვილი, ა. წიგწიგაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე გ. კაცეტაძე, ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ბ. რეხვიაშვილი, სტუდენტთა ქალაქის

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲛᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ Ბ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲤᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ Ო. ᲠᲐᲒᲒᲔᲚᲘᲫᲔ.

საკითხის განხილვის გამო კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

*

* *

საგარეო საქმეთა მუდმივმა კომისიამ მოისმინა კომიის წევრის დეპუტატ დ. გოგოხიას მოხსენება რესპუბლიკაში უცხოელი სტუმრებისა და ტურისტების მიღების და მომსახურების მდგომარეობის შესახებ. სხდომაზე აღინიშნა, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიური, მეცნიერული და კულტურული ურთიერთობის გაფართოებასთან ერთად განუწყვეტლივ იზრდება ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ უცხოელ სტუმართა და ტურისტთა რიცხვი. მაგალითად, თუ 1968 წელს საქართველოს ეწვია 40 ათასი უცხოელი ტურისტი, 1971 წელს მათი რიცხვი ერთიორად და მეტად გაიზარდა.

თბილისში, ბათუმში, სოხუმში, რუსთავში ხშირად ეწყობა მეგობრობის საღამოები, შეხვედრები და დისპუტები უცხოელ სტუმრებთან, იკითხება ლექციები უცხო ენებზე. კულტურის სამინისტრო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველო აწყობენ ერთობლივ ღონისძიებებს, სპეციალური საღამო-კონცერტებს, უჩვენებენ დოკუმენტურ და მხატვრულ კინოფილმებს. ამ ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინოფოტოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი და რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირები.

გაუმჯობესდა სუვენირებითა და ხალხური შემოქმედების ნიმუშებით ვაჭრობა.

ამასთან მუდმივი კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ უცხოელ სტუმართა და ტურისტთა მიღებისა და მომსახურების საქმეში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი.

რესპუბლიკის ქალაქებსა და კურორტებში ჯერ კიდევ ცოტაა გემოვნებით და მაღალ პროფესიულ დონეზე გაფორმებული ეროვნული სუვენირები. ხშირად ისტორიული ძეგლების მახლობელ კიოსკებში (მაგალითად, სვეტიცხოველთან, ჯვართან) სუვენირებისა და სარეკლამო ლიტერატურის ნაცვლად იყიდება საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი.

საკურორტო ზონებში იგრძნობა მომსახურების დაბალი დონე. ადგილობრივი ავტომაზები ვერ უზრუნველყოფენ მზარდ მოთხოვნილებას ავტოტრანსპორტზე.

სერიოზული ნაკლოვანებანია უცხოელთათვის გათვალისწინებული ახალი სასტუმროებისა და სხვა ობიექტების მშენებლობაში.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები ი. ხვედელიანი, ა. ძაძუა, ფ. პახალჩუკი, საქართველოს სსრ მშენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლობის მინისტრი გ. კაშაკიძე, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ვ. ბოჭორიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ხუციშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსი დ. ჩიბურდანიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე შ. ბერიანიძე.

მუდმივი კომისიის მუშაობის შედეგები შეაჯამა ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა ი. შევარდნაძემ.

განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

*
* *

კომისიების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1972 წლის 25 თებერვლის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლებით“ დააჯილდოვა 332 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		22
ქ. ქუთაისიდან		1
ქ. გორიდან		1
ქ. რუსთავიდან		11
ქ. ჭიათურიდან		13
აბაშის	რაიონიდან	10
ადიგენის	„	12
ასპინძის	„	2
ახალქალაქის	„	40
ახალციხის	„	15
ახმეტის	„	12
ბოგდანოვკის	„	11
ბოლნისის	„	14
ბორჯომის	„	4
გეგეჭკორის	„	9
გორის	„	18
გურჯაანის	„	1
ვანის	„	7

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონის	რაიონიდან	15
ზუგდიდის	„	5
თელავის	„	4
თეთრიწყაროს	„	3
თიანეთის	„	2
კასპის	„	18
ლაგოდეხის	„	35
ლანჩხუთის	„	2
ლენტეხის	„	32
ძაიაკოვსკის	„	13

ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 25 თებერვლის ბრძანებულებით რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში შეტანილია შემდეგი ცვლილებები:

გარდაბნის რაიონის მარტყოფის სასოფლო საბჭოს სოფელ საცხენჰესს შეეცვალა სახელი და ეწოდა სოფელი საკაძე.

წულუკიძის რაიონის კუხის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები დიდი გუბი, შუა გუბი, პატარა გუბი და შეიქმნა გუბის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ დიდ გუბში.